ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ. თბილისი **12.09.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ცოდნის (თბილისი) წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ნაზი ნადირაძე - დირექტორი.

შპს ცოდნის (სამტრედია) წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
მარინე ნადირაძე - დირექტორი.

შპს კრწანისის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
თამარ გრიგოლია - დირექტორი;
ხათუნა ხარაძე - დირექტორის მოადგილე.

შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვების წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მანანა გვირჯიშვილი - დირექტორი;
მარინა ხოჭოლავა - მოადგილე.

შპს ახალი ქართული გიმნაზიის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ელზა ბადაშვილი - სკოლის წარმომადგენელი

შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ქეთევან ნატროშვილი - დირექტორის მოადგილე;

შპს კაი ყმის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
თამარ ჩანტლაძე - დირექტორი;
თამარ ორმოცაძე - დირექტორის მოადგილე საბაზო და საშუალო საფეხურებზე;
ნონა გორგილაძე - დირექტორის მოადგილე დაწყებით საფეხურზე.

შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
გრიგოლ ბულია;
იოსებ ხუციშვილი;
მაკა მახარობლიძე.

შპს სკოლა ჰელიოსის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ნათელა ვეშაპიძე - დირექტორი

შპს თბილისის არქიმედეს სკოლის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
გელა მანელიძე - დირექტორი;
ლევან მანელიძე - დირექტორის მოადგილე;
მირიან სახელაშვილი - საინფორმაციო მენეჯერი.

შპს ათასწლეულის სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
აპოლონ ტყეშელაშვილი - სკოლის დირექტორი.
ეკატერინე სლოვინსკი - კონსულტანტი აკადემიური მიმართულებით;
ლიკა გიორგაძე - სკოლის იურისტი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):
ლელა ფიცხელაური;
ნანა ბარნაბიშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
ეკატერინე გიგაშვილი;
თეა სალუქვაძე;
კახა ჟღენტი;
ავთანდილ აბდუშელიშვილი;
მაკა ტუკვაძე;
ხათუნა დიდებაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
ქეთევან ჯანუაშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
ვერა ყურულაშვილი;
ნინო მოლაშხია;
ნინო ბალანჩივაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
გიორგი ლასხიშვილი;
თამარ ჩხიკვაძე;

ლიანა კობესაშვილი;
პეტრე ბაბილუა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ცოდნის (თბილისი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ცოდნის (სამტრედია) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კრწანისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს კაი ყმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა და ითხოვა შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხი დღის წესრიგს პირველ საკითხად დამატებოდა. საბჭომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

1. შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ცოდნის (თბილისი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ცოდნის (სამტრედია) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კრწანისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს კაი ყმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ათასწლეულის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და პეტრე ბაბილუამ წარადგინეს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ არცერთ სტანდარტში არ დაფიქსირებულა ხარვეზი. ერთადერთი, რაც ექსპერტებმა განაცხადეს, ეხებოდა ჩინური ენის სწავლებას, რასაც სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს. ექსპერტების თქმით, ჩინური ენის მასწავლებელი ვერ იქნებოდა სერტიფიცირებული, რადგან 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა არ ითვალისწინებდა აღნიშნულ მიმართულებას, თუმცა პედაგოგს დამთავრებული ჰქონდა თავისუფალი უნივერსიტეტის აზია-აფრიკის ინსტიტუტის პროგრამა და მინიჭებული ჰქონდა ჩინური ენის სპეციალისტის კვალიფიკაცია, გარდა ამისა, 8 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ჩინეთში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ არსებობდა სხვა საგნებიც, რომლებიც ვერ დასტურდებოდა გამოცდით, მაგალითად ცეკვა. შესაბამისად, ეს წარმოადგენდა სისტემის ხარვეზს, და არა მასწავლებლის, რადგან მას არც ჰქონდა შესაძლებლობა, ჩაებარებინა ჩინური ენის გამოცდა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაცია გავლილი ჰქონდათ პირველ საფეხურზე, ამჟამად კი სურდათ სამივე საფეხურზე სწავლების უფლების მიღება.

საბჭოს წევრებმა ექსპერტებს მიმართეს კითხვით, დაედასტურებინათ სკოლის მზაობა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლას შეეძლო მიეღო 400 მოსწავლე. მართალია მერხების რაოდენობა შეადგენდა 581-ს, მაგრამ ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შესაძლოა განსაზღვრულიყო არაუმეტეს 400-ით. თუმცა ექსპერტებმა დაამატეს, რომ სკოლას ჰქონდა მასწავლებლების ბაზა, რომელთანაც გასაუბრება ჩატარებული იყო და საჭიროების შემთხვევაში აიყვანდნენ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ კომპიუტერების რაოდენობით. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ სკოლას ჰქონდა 33 კომპიუტერი.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა სკოლის მისიით, თუ რა ამყარებდა არსებულ სახელწოდებას.

სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ ტექნოლოგიური განათლება იყო ამოსავალი წერტილი სკოლისთვის, 2000 წლიდან დაწყებული იყო ინფორმაციული განვითარების პერიოდი თავისი გამოწვევებით. ასევე, ჩატარებული იყო გამოკითხვა და რამდენიმე სახელწოდებიდან შეირჩა „ათასწლეულის სკოლა“, შესაბამისად გათვალისწინებული იყო მარკეტინგული გათვლაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ათასწლეულის სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 581-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ათასწლეულის სკოლას (ს/კ: 204528699) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 581-ით.

2. შპს ცოდნის (თბილისი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ნანა ბარნაბიშვილმა წარადგინეს. მათ აღნიშნეს ერთი გარემოების შესახებ, რომელიც იყო სადავო, სხვა მხრივ, კი სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო. საქმე ეხებოდა შენობას, რომელშიც განთავსებული იყო სკოლა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ შენობა წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, გადაცემული ჰქონდა სარგებლობაში სსიპ კოლეჯ მერმისისთვის, თუმცა მერმისს სხვა შენობაც ჰქონდა და არ სარგებლობდა აღნიშნული ფართით. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ შპს ცოდნას შენობა გადაცემული ჰქონდა 5 წლის ვადით და აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, სკოლას სხვა ფართის მოძიებაზე უნდა ეზრუნა.

ექსპერტმა, ნანა ბარნაბიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფართი სკოლის საკუთრებას არ წარმოადგენდა და შესაძლებელი იყო 5 წლის მერე აღარ ყოფილიყვნენ ამ შენობაში, დასრულებული ჰქონდათ რემონტი და ზრუნავდნენ განვითარებაზე.

სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მოძიებული ჰქონდათ ალტერნატიული ფართი.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ 5-წლიანი ხელშეკრულება მისთვის არსებით პრობლემას არ წარმოადგენდა. თუ 5 წლის მერე სკოლას არ ექნებოდა შენობა, თავისთავად ვეღარ განაგრძობდა ფუნქციონირებას, ამიტომ რეკომენდაცია იქნებოდა წინასწარ ეზრუნა ამ პრობლემის მოგვარებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ: 209467673) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

3. შპს ცოდნის (სამტრედია) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარებსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წინაშე ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ეკატერინე გიგაშვილმა წარადგინეს.

ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლაში სემესტრული გამოცდების ჩატარების პირობებში დარჩენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის ძველი რედაქციის რეგულაცია (რომელიც დეტალურად იყო ასახული ექსპერტთა დასკვნაში), თუმცა სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ნორმა სკოლაში არასდროს ამოქმედებულა.

ექსპერტის თქმით, სკოლის შეფასების სისტემაში დისკუსიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ერთერთი კრიტერიუმი იყო „მოსმენა“, რომლის შეფასების სამი დონის ინდიკატორები არაგაზომვადი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მატერიალური რესურსების ნაწილში ექსპერტთა დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ დაფიქსირებულა. მისი თქმით, გაურკვევლობა დაფიქსირდა სკოლის წესდების დამტკიცების წესში, როცა დოკუმენტს სკოლის დირექტორთან ერთად პერსონალიც ამტკიცებდა. სკოლამ უზუსტობა გამოასწორა და აღნიშნული უფლებამოსილება მხოლოდ დირექტორს დაუტოვა.

ექსპერტის თქმით, სკოლის ორი მასწავლებელი არ ყოფილა ჩართული სქემაში. სკოლის წარმომადგენლის თქმით, ერთერთი მათგანი იანვრის შემდეგ იქნა სკოლაში მიღებული, რის გამოც მისი სქემაში დროულად ჩართვა ვერ მოხერხდა. პასუხად, საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ პედაგოგის დარეგისტრირება ვერც მოხდებოდა, რადგან შეცდომა იყო დაშვებული და რეალურად, აღნიშნული პედაგოგი სერტიფიცირებული არ ყოფილა. შესაბამისად, სკოლას არ ჰქონდა უფლება აღნიშნული მასწავლებელი სკოლაში მიეღო.

პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით, ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა განაცხადა, რომ რადგან სამტრედია მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი გახლდათ, დაწესებულებას რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის ელექტრომექანიკოსისა და სარკინიგზო გადამზიდის პროფესიული პროგრამების განხორციელების განზრახვით სწორი კურსი ჰქონდა არჩეული. მისივე თქმით, სკოლას პროფესიული პროგრამის შეწყვეტის შემთხვევაში, მოსწავლეების სხვა დაწესებულებებში გადაყვანის საკითხი უზრუნველყოფილი ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმებით, თუმცა არცერთი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ პროგრამებს არ ახორციელებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ცოდნისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს ცოდნას (ს/კ: 238730931) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
შპს ცოდნას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 60-ით.

4. შპს კრწანისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, კახა ჟღენტმა წარადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენდა პანდუსები, რომელიც მხოლოდ ორ სართულზე იყო განთავსებული მაშინ, როცა მეოთხე სართულზე მდებარეობდა სამედიცინო და კომპიუტერული ოთახები. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი იყო სამედიცინო პუნქტის ქვედა სართულებზე ჩამოტანით.

ექსპერტის თქმით, სკოლამ ვერ წარმოადგინა ვებგვერდის დომენი და ჰოსტინგი, რისი მიზეზიც იყო ის, რომ სკოლა სხვა მისამართზე გადავიდა. თუმცა აღნიშნული ვიზიტის დროს გამოსწორდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ეზოს მთავარ შესასვლელში სამეთვალყურეო კამერა არ იყო განთავსებული, რაც ასევე ვიზიტის მსვლელობისას მოგვარდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლა ახალ სუბიექტს წარმოადგენდა - სკოლის ძველის სახელწოდება იყო „მარჯი“, შპს კრწანისი კი მისი სამართალმემკვიდრე გახლდათ. სკოლას მატერიალური რესურსის დიდი ნაწილი შპს მარჯისგან ჰქონდა შესყიდული. სკოლას სულ 9 კომპიუტერი გააჩნდა და 180 მოსწავლეზე გათვლილი რაოდენობის მერხებს და სკამებს ფლობდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კრწანისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კრწანისს (ს/კ: 404512611) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

5. შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ წარადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს იყო ყოფილი საჯარო სკოლა, 4 სართულიანი, აღჭურვილი 639 ერთადგილიანი მერხით. პირველ სართულზე განთავსებული იყო საბავშვო ბაღი, რომელთანაც სკოლას ჰქონდა საერთო დერეფანი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, იურიდიულად როგორ იყო გამიჯნული ბაღისა და სკოლის ფართი. თუ იყო იმის საშიშროება, რომ ბაღის გაზრდის შემთხვევაში, სკოლა შეზღუდულიყო.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი დამფუძნებლის საკუთრებაში იყო სკოლაც და ბაღიც.

საბჭოს წევრების მოსაზრებით, წესდებაში ან რაიმე სხვა დოკუმენტში უნდა ყოფილიყო ასახული, თუ როგორ ნაწილდებოდა შენობის სივრცე, რადგან რთულდებოდა ინვენტარის, მერხების გამიჯვნა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართი შეადგენდა 7000 კვ. მ.-ს.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას გააჩნდა 637 სასკოლო მერხი და სკამი (მათ შორის 179 ორადგილიანი მერხი).

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სასკოლო საგანი „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები" სკოლას დაყოფილი ჰქონდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის დისციპლინებად - სემესტრული და წლიური შეფასებები წარმოდგენილი იყო „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებისთვის, თუმცა მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებები ცალცალკე დისციპლინებში ფასდებოდა. დაწესებულებამ განათლების სამინისტროდან აღნიშნული დაყოფის ნებართვის შესახებ დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, სკოლას საგნის სწავლების ორგანიზებაში ჰქონდა უზუსტობა, რომლის მოგვარების გზები სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა და გაკვეთილების ცხრილსა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებები შეიტანა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა ნინო კოდუამ აღნიშნა, რომ იმ საჯარო სკოლაშიც, რომელშიც თავად საქმიანობდა, საგანი აღნიშნულის შესაბამისად ჰქონდათ დაყოფილი. საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა აღნიშნული დისციპლინების პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხით დაინტერესდა. წარმომადგენლის თქმით, საგნებს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგები ასწავლიდნენ. საბჭოს წევრის, ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლა ისევ ტრიმესტრული სწავლების ტიპზე გადიოდა, რაზეც ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი არ დაეთანხმებოდა. რევაზ აფხაზავას თქმით, დისციპლინების ინტეგრირებულად სწავლების მიზანს მოსწავლის მიერ სამყაროს ერთიანობაში აღქმა წარმოადგენდა. მისთვის გასაგები იყო, რომ რთული საპოვნელი იქნებოდა

პედაგოგი, რომელსაც სამივე დისციპლინის ადეკვატური ცოდნა ექნებოდა, თუმცა მოთხოვნა ასეთი იყო.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა სკოლას თუ ჰქონდა მოსწავლეების მიღების კრიტერიუმები. მაგალითად, რელიგიური მიკუთვნება თუ მოიაზრებოდა ამ კრიტერიუმებში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რელიგიური ნიშნით არ ხდებოდა განსხვავება მოსწავლეების მიღებისას. სკოლაში სწავლობდნენ სხვადასხვა კონფესიების მიმდევარი მოსწავლეები.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა სკოლაში საღვთო სჯული. სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ ასწავლიდნენ საღვთო სჯულს და საგანი სავალდებულო სტატუსის იყო, თუმცა აღნიშნული მოსწავლეებში პროტესტს არ იწვევდა.

ქეთევან ჭკუასელმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რაიმე ნებართვა თუ ჰქონდათ მოპოვებული საღვთო სჯულის სავალდებულოდ სწავლებისთვის. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ 20 წლის განმავლობაში ასწავლიდნენ აღნიშნულ საგანს, თუმცა არც სავალდებულო იყო და არც ყველა კლასში იყო შეტანილი. რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ სასწავლო ბადეში იყო მითითებული სავალდებულო საგნად. სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ საგანს გადიოდნენ ბავშვები, ვინც ადრიდანვე სწავლობდნენ სკოლაში.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ საღვთო სჯული გულისხმობდა რელიგიურ პრაქტიკას, რელიგიების ისტორიასაც კი არ გულისხმობდა და კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, ვინ ასწავლიდა აღნიშნულ საგანს. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ საგანს ასწავლიდა სტიქაროსანი, რომელსაც სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მათ დაამატეს, რომ ძირითადად ისტორიას ასწავლიდნენ და კარგი პროგრამა იყო.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კერძო სკოლას ჰქონდა საშუალება ესწავლებინა საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა ამას უნდა ჰქონოდა არჩევითი ხასიათი. რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მასწავლებლის პროფესია იმის გამო გახდა რეგულირებადი, რათა დადგენილიყო ვინ ჩაატარებდა გაკვეთილს. 7 წლის განმავლობაში საღვთო სჯულის სწავლება საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ერთი რომელიმე რელიგიის.

საბჭოს წევრებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლას, საგანი დარჩენილიყო რელიგიების ისტორიის შინაარსის ფორმატში და გადასულიყო არჩევით საგნებში. რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ სკოლას სწავლების ფუნქცია ჰქონდა, ქადაგებისთვის კი მსურველებს შეეძლოთ მიემართათ ეკლესიისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 632-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს (ს/კ:211357020) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 632-ით.

სხდომის თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, ერთი თვის შემდეგ სკოლაში შემდგარიყო მონიტორინგის ვიზიტი, რომლითაც გადამოწმდებოდა გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები ბაღისა და სკოლის ფართის გამიჯვნასა და პროგრამულ ნაწილში საღვთო სჯულის საგნის სტატუსსა და შინაარსთან დაკავშირებით და გადაიდგა თუ არა შესაბამისი ნაბიჯები მათ მოსაგვარებლად.

6. შპს სკოლა ჰელიოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა წარადგინა.

ლევან მადათოვმა საბჭოს განუმარტა, რომ აღმაშენებლის 95 ნომერში ფუნქციონირებდა სკოლა მარჯი, რომელსაც უწევდა ავტორიზაცია. შენობის მესაკუთრესა და სკოლის დამფუძნებელს შორის ვერ მოხდა შეთანხმება და დაფიქსირდა ახალი შპს, რომლის სახელწოდებაც იყო კრწანისი. მარჯმა კი საქმიანობა 17 აგვისტოს შეწყვიტა. შესაბამისად, ჰელიოსი წარმოადგენდა ახალ სკოლას, თუმცა თუ გადმოსულ ბავშვებს გარკვეული დოკუმენტების გამოთხოვა მოესურვებოდათ, მათ შპს მარჯის დირექტორისთვის უნდა მიემართათ. ლევან მადათოვმა დაამატა, რომ მას შემდეგ, რაც შპს მარჯს ავტორიზაციის ვადა ამოეწურა, ცენტრმა აღნიშნული სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას აცნობა და მოსწავლეები უფლებამოსილნი იყვნენ გადასულიყვნენ სხვა სკოლებში და დამოუკიდებლად გაჩნდა ორი ახალი შპს.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო ორი კამერა - ერთი ეზოს შესასვლელში და მეორე კი ეზოს შუა ნაწილში. სკოლა ერთი კამერის გარეთ გატანასა და დამატებით კამერების შეძენას გეგმავდა.

ექსპერტის თქმით, სკოლას სტანდარტის პროგრამულ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზები არ ჰქონია. ექსპერტის თქმით, სკოლას 29 პედაგოგი ჰყავდა, მათ შორის 8 პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით. საბჭოს წარმომადგენლის კითხვაზე პასუხად, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგები არ მიუღია კონკურსის წესით, არამედ მათი რეკრუტირებისას ძირითადად პირად კონტაქტებს დაეყრდნო. მასწავლებლებთან გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები და ყველა პედაგოგი ჩართული იყო სქემაში.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, როდის დაიწყებოდა სწავლა სკოლაში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 19 სექტემბერს გეგმავდნენ სასწავლო პროცესის დაწყებას და ელოდებოდნენ 50-მდე მოსწავლეს.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლის მფლობელობაში იყო 10 კომპიუტერი, 180 მაგიდა და სკამი, ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ 20 მერხის შესყიდვის დოკუმენტაცია, საერთო ჯამში, სკოლას შეეძლო მიეღო 200 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჰელიოსისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ჰელიოსს (ს/კ: 404512568) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

7. შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში ხარვეზები არ გამოვლენილა. ვიზიტის დროს გასწორდა პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებშიც არ იყო გათვალისწინებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის მფლობელობაში იყო 1565.73 კვ.მ. ფართი. სკოლამ წინა ავტორიზაცია 2011 წელს აღნიშნული შენობით მიიღო. 2011 წლამდე შენობაში სხვა სკოლა ფუნქციონირებდა, თუმცა შენობა გაიყიდა და ახალ მფლობელს კვლავ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ვალდებულება დაეკისრა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო 20 საკლასო ოთახი, 350 მერხი. მასწავლებლების რაოდენობა შეადგენდა 33-ს, აქედან ექვსს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

ექსპერტის თქმით, სკოლა ქართულენოვანი იყო, თუმცა 1-6 კლასებში რუსული სექტორიც ფუნქციონირებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადამოწმდა სახელმძღვანელოები და თემატური, რომლებიც შესაბამისობაში აღმოჩნდა სტანდარტთან.

ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლას რეკომენდაციები მიეცა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის წარმოებასთან დაკავშირებით, როგორც ეს სკოლების აბსოლიტური უმრავლესობის შემთხვევაში ხდებოდა. საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის არასწორი წარმოება ხარვეზად უნდა ყოფილიყო განხილული, რაზედაც პასუხად ექსპერტმა განაცხადა, რომ არ იყო ზუსტად განსაზღვრული თუ რა სიღრმით უნდა შემოწმებულიყო აღნიშნულ პუნქტში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა. ხათუნა ბარაბაძის თქმით, შემაჯამებელი დავალებები ინდივიდუალურად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ანალიზის დროს არ შეიძლებოდა კლასის ზოგადი დახასიათება და წარმოადგენდა მასწავლებლის ინსტრუმენტს, რომელიც გულისხმობდა თითოეული მოსწავლის საჭიროებების დადგენას და მასზე მუშაობას.

ექსპერტის თქმით, სკოლას გააჩნდა 21 კომპიუტერი და 350 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას ბოლო მონაცემებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 340-ით ჰქონდა განსაზღვრული. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა აღნიშნული ნიშნულის გაზრდას ამ ეტაპზე არ აპირებდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, იყო თუ არა ქართული და რუსული სექტორები სათანადოდ გამიჯნული. ექსპერტებმა პასუხად განაცხადეს, რომ ქართული და რუსული სექტორები პარალელურ კლასებს წარმოადგენდნენ, სხვა მხრივ არ იყვნენ გამიჯნული და რუსული სექტორიც მიყვებოდა ესგ-ს რუსულ ენაზე.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, სტრატეგიაში თუ იყო გათვალისწინებული რაიმე საკითხი რუსულ სექტორთან მიმართებით. სკოლის წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ რუსულ სექტორზე ჩარიცხული მოსწავლეები იყვნენ როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეები. ხოლო საჯარო სკოლები

უკვე აღარ ხსნიდნენ რუსულ სექტორებს. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სკოლას მაქსიმალურად უნდა შეეწყო ხელი სახელმწიფო ენაზე სწავლებას. სკოლის წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ რაოდენობა ხელოვნურად არ იყო გაზრდილი, მოთხოვნის შესაბამისად იხსნებოდა კლასები. რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მიწოდებაც განაპირობებდა არჩევანს და უკეთესი იქნებოდა, ქართულენოვან სექტორზე ესწავლათ ეთნიკურ უმცირესობებსაც, მით უმეტეს, როდესაც სკოლის სახელწოდება იყო „ახალი ქართული გიმნაზია".

რევაზ აფხაზავა სკოლის მისიით დაინტერესდა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო სკოლის მისია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული გიმნაზიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა რევაზ აფხაზავამ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ახალ ქართულ გიმნაზიას (ს/კ: 200036497) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ საკუთარი უარყოფითი პოზიციის განმარტების სურვილი გამოთქვა. მისი თქმით, გადაწყვეტილება სკოლის რუსული სექტორის განვითარებაზე ორიენტირებამ განაპირობა, იმის კვალობაზე, რომ სკოლას ქართული გიმნაზია ერქვა. საბჭოს წევრის განცხადებით, რუსულ ენაზე სწავლის რაც მეტ პირობებს შეუქმნიდნენ რუსულენოვან თუ არარუსულენოვან - საქართველოს ეთნიკურად სომეხ, აზერბაიჯანელ თუ ქურთ მოქალაქეებს, მით უფრო გაჭირდებოდა მათი ინტეგრირება. შესაბამისად, მას აღნიშნული არსებით ხარვეზად მიაჩნდა.

17:18 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:40 საათზე.

8. შპს ქართული სასწავლებელი - თბილისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის განცხადებით, ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია სკოლამ ვიზიტის ფარგლებში, ადგილზევე გაითვალისწინა. შესაბამისად, არსებული სიტუაციით, სკოლას ხარვეზები არ უფიქსირდებოდა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას ვიზიტის დროს არ დაუდასტურებია, რომ მოსწავლეებს შემაჯამებელ სამუშაოებამდე 2 კვირით ადრე აცნობდა შეფასების სქემებსა და რუბრიკებს, თუმცა სკოლამ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი საბჭოს სხდომამდე წარმოუდგინა ექსპერტს.

სხვა უზუსტობებს რაც შეეხება, ექსპერტმა განაცხადა, რომ ინგლისურ ენას უცხოელი პედაგოგი ასწავლიდა, რომელიც შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმებს არ იყენებდა. სკოლაში მაღალ კლასებში არ ხდებოდა რეიტინგული შეფასება, მაგრამ შემაჯამებელი დავალებების ანალიზებში იწერებოდა ქულები. სკოლამ დაადასტურა, რომ აღნიშნული მონაცემები სკოლის მოსწავლეებს არ მიეწოდებოდა, რადგან შეფასებაზე გავლენას არ ახდენდა და სასკოლო რეიტინგისთვის გამოიყენებოდა. რაც შეეხება უმცროსკლასელებს, რეიტინგული შეფასებები პედაგოგების მიერ განმავითარებელი შეფასების გაადვილების მიზნით გამოიყენებოდა. სკოლა მოსწავლეთა ყოფაქცევას ათქულიანი სკალით აფასებდა, რაც ხელს უწყობდათ ეკვლიათ და გაეუმჯობესებინათ მოსწავლის ქცევა.

ექსპერტმა საბჭოს წინაშე ხაზი გაუსვა სკოლის შემხვედრ პოზიციასა და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებისადმი ღია დამოკიდებულებას. ექსპერტმა სკოლის პირადი ინიციატივებით კმაყოფილება გამოხატა, განსაკუთრებით იმ ფაქტით, რომ სკოლაში ისწავლებოდა პროგრამირებაც.

რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გაწეულიყო, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სკოლის ინდივიდუალიზმი განვითარებულიყო. რაც უფრო მეტ საკუთარს ინიციატივას გამოიჩენდა სკოლა, შესაძლოა მეტი რისკის წინაშეც აღმოჩენილიყო, თუმცა სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ სკოლები ამ ნაბიჯს დგამდნენ. შესაბამისად, პოზიტიურად აღსანიშნავი იყო ის ფაქტიც, რომ ექსპერტებიც ამ სკოლების დახმარებისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული სასწავლებელი - თბილისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 767-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ სასწავლებელ - თბილისს (ს/კ: 404382752) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 767-ით.

9. შპს კაი ყმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში არსებითი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში დააზუსტა სპორტის სახეობები. სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 180-ით ჰქონდა განსაზღვრული და ამჯერადაც იგივე რაოდენობას ითხოვდა. დაწესებულებაში სულ 13 საკლასო ოთახი იყო და კლასში განსაზღვრული მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლა 195 მოსწავლეს დაიტევდა. სკოლას გააჩნდა 13 კომპიუტერი. სკოლაში დასაქმებული იყო 22 პედაგოგი, მათგან 10 უფროსი მასწავლებლის სტატუსით. სა პედაგოგი სქემაში ჩართული არ ყოფილა, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის სამივეს ჩაბარებული ჰქონდა საგნის სასერტიფიკატო გამოცდა. სკოლას ერთი სსსმ მოსწავლე ჰყავდა (აუტიზმის სპექტრით).

სკოლას ერთი რეკომენდაცია გაეწია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი უფრო კონკრეტული და გამოვლენილ პრობლემათა მოგვარების გზები უფრო კონკრეტული ყოფილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კაი ყმისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კაი ყმას (ს/კ: 202061295) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

10. შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა.

ექსპერტის თქმით, სკოლა 20 წლის წინ დაფუძნდა, თუმცა მოგვიანებით სახელწოდება („არძანი“) შეიცვალა და ამჯერად ახლადდაფუძნებული სკოლის სტატუსით იყო საბჭოზე წარმოდგენილი. ექსპერტის თქმით, სკოლის დამფუძნებელი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დამფუძნებელი ორგანიზაცია გახლდათ. აღნიშნული უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული ფართის 1000 კვ.მ. სკოლას ეთმობოდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლას ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა, პანდუსის დამონტაჟება და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების განთავსება უნდა დაედასტურებინა, რაც ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

ექსპერტის თქმით,ს კოლას 323 ინდივიდუალური სასწავლო მერხი და სკამი და 34 კომპიუტერი გააჩნდა. სკოლის სპორტული მოედანი გათვალისწინებული იყო საკადასტრო ნახაზში, თუმცა რეესტრის მონაცემებით სკოლის მფლობელობაში არ ფიქსირდებოდა. სკოლამ არსებული გაურკვევლობა გადაცემის პროცედურის სირთულით ახსნა. მისივე თქმით გადაცემა თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენდა, მთავარი საბჭოს მხრიდან გამოხატული ნდობა იყო.

საბჭოს წევრის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოფილი „არძანის“ მოსწავლეები დიდწილად ახალდაფუძნებულ სკოლაში გადმოვიდოდნენ. სკოლა გათვლას 600 მოსწავლეზე აკეთებდა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში 16 საკლასო ოთახი და 8 სხვადასხვა დანიშნულების კაბინეტი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თითო სკალასო ოთახში 20 მოსწავლეზე მეტის მოთავსებას არ აპირებდა. პასუხად, საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში სკოლას 30 საკლასო ოთახი დაჭირდებოდა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ საკლასო ოთახებში 20 მოსწავლეზე მეტი ფიზიკურად ვერ მოთავდებოდა. ექსპერტმა განმეორებით აღნიშნა, რომ სკოლას 16 საკლასო ოთახი და 8 სხვადასხვა დანიშნულების კაბინეტი ჰქონდა, რომლებსაც ლაბორატორიებად გამოიყენებდა, შესაბამისად მათი საკლასო ოთახებად გამოყენება არ უნდა მომხდარიყო. საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავამ ასევე წინააღმდეგობა გამოხატა ლაბორატორიების საკლასო ოთახებად გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე.

ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ დაწესებულებას განუცხადა, რომ ძველი, უკვე გაუქმებული სკოლიდან („არძანი“) პედაგოგების გადმოყვანა ახალი სქემის მიხედვით კანონმდებლობის დარღვევა იქნებოდა და ახალდაფუძნებულ სუბიექტს ახალი კადრები უნდა აეყვანა. აღნიშნულთან დაკავშირებით, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ნორმა შესაცვლელი იყო, ვინაიდან თუკი პედაგოგს ერთი დღით მაინც შეუწყდებოდა ხელშეკრულება, სქემაში ჩართვისთვის შესაბამისი პროცედურები ხელახლა უნდა გაევლო. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სანამ ნორმა შეიცვლებოდა, ზემოხსენებული გარემოება სკოლას დარღვევად ჩაეთვლებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლას (ს/კ: 404510739) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

11. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, კახა ჟღენტმა წარადგინა.

ექსპერტის განცხადებით სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ექსპერტმა საბჭოს მოკლედ გააცნო სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. სკოლაში 12 საკლასო ოთახი და ერთი საბუნებისმეტყველო კაბინეტი იყო. სკოლა აღჭურვილი იყო 180 ინდივიდუალური სასწავლო მერხითა და სკამით. სკოლის მფლობელობაში იყო სასწავლო მიზნებისთვის გათვალისწინებული 10 პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის არქიმედეს სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის არქიმედეს სკოლას (ს/კ:405101562) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე